

შპს მისო „მო მანი კრედიტ“
ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**შპს მისო „მო მანი კრედიტ“
ფინანსური ანგარიშგება
და
აუდიტის დასკვნა
31 დეკემბერი 2014**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მისო „მო მანი კრედიტ“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს მისო „მო მანი კრედიტ“-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მომზადებას და სამართლიან წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც არ შეიცავს როგორც შეცდომით, ისე თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და დავგეგმოთ და განვახორციელოთ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების გახორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

ჩვენ ვთლით, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ არის საკმარისი და შესაფერისი საფუძველი აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით მისოს სალაროში არსებული ფულადი სახსრების გადათვლას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ჩვენი აუდიტორად დანიშვნა მოხდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. ამდენად ჩვენ ვერ გამოვხატავთ ადეკვატურ რწმუნებას მისოს სალაროში არსებულ ფულად სახსრების რაოდენობასა და მდგომარეობაზე, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შესაბამისად 16,178 ლარს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრად აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

25 ოქტომბერი 2015

არესემ კაკტო

შპს მისო „მო მანი კრედიტ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | | 2014 | 2013 |
|--|----------|----------------|----------------|
| | შენიშვნა | ლარი | ლარი |
| საპროცენტო შემოსავალი | | 779,342 | 794,705 |
| საპროცენტო ხარჯი | | (27,983) | (8,670) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 4 | 751,359 | 786,035 |
| სესხის გაუფასურების ზარალი | 10 | (81,030) | (34,193) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ | | 670,329 | 751,842 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | 5 | 232,996 | 178,470 |
| საოპერაციო ხარჯები | 6 | (660,157) | (649,207) |
| კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) | 7 | 1,320 | (3,307) |
| მოგება გადასახადამდე | | 244,488 | 277,798 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 8 | (40,413) | (45,988) |
| წლის მოგება | | 204,075 | 231,810 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | | 2014 | 2013 |
|--------------------------------------|----------|----------------|----------------|
| | შენიშვნა | ლარი | ლარი |
| აქტივები | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 9 | 22,448 | 46,980 |
| გაცემული სესხები | 10 | 543,401 | 459,501 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი | 15 | 27,949 | - |
| ძირითადი საშუალებები | 11 | 333,171 | 46,346 |
| სხვა აქტივები | | 4,255 | 2,845 |
| სულ აქტივები | | 931,224 | 555,672 |

კაპიტალი

| | | | |
|----------------------|----|----------------|----------------|
| საწესდებო კაპიტალი | 12 | 560,000 | 560,000 |
| გაუნაწილებელი მოგება | 12 | (238,863) | (177,938) |
| სულ კაპიტალი | | 321,137 | 382,062 |

ვალდებულებები

| | | | |
|--|----|----------------|----------------|
| კრედიტორული დავალიანება | 17 | 54,191 | 14,782 |
| მიღებული სესხები | 14 | 463,332 | 89,899 |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება | 15 | 35,175 | 5,202 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | | - | 3,150 |
| გადასახდელი დივიდენდები | 12 | 49,795 | 53,114 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები | | 7,594 | 7,463 |
| სულ ვალდებულებები | | 610,087 | 173,610 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 931,224 | 555,672 |

შპს მისო „მო მანი კრედიტ“
 ფინანსური ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | მფლობელთა კაპიტალი | დაგროვილი ზარალი | სულ |
|-------------------------------------|-----------------------|---------------------|----------------|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| ნაშთი 2013 წლის 1 იანვარს | 560,000 | (147,748) | 412,252 |
| მფლობელთა შენატანი | - | - | - |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | (262,000) | (262,000) |
| წლის მოგება | - | 231,810 | 231,810 |
| ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბერს | 560,000 | (177,938) | 382,062 |
| მფლობელთა შენატანი | - | - | - |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | (265,000) | (265,000) |
| წლის მოგება | - | 204,075 | 204,075 |
| ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბერს | 560,000 | (238,863) | 321,137 |

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2014 | 2013 |
|---|----------|----------------|----------------|
| | | ლარი | ლარი |
| ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობაში | | | |
| წლის მოგება დაბეგრამდე | | 244,488 | 277,798 |
| კორექტირებები: | | | |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 11 | 15,029 | 6,669 |
| სესხის გაუფასურების ზარალი | | 81,030 | 34,193 |
| საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება: | | | |
| გაცემული სესხების (ზრდა)/შემცირება | 10 | (178,181) | (82,696) |
| სხვა აქტივების (ზრდა)/შემცირება | | (1,410) | 122 |
| კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება) | 17 | 39,409 | 8,012 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება) | | 131 | 4,583 |
| საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული | | 200,496 | 248,681 |
| გადახდილი მოგების გადასახადი | 8 | (41,539) | (50,000) |
| საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული | | 158,957 | 198,681 |

ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში

| | | | |
|---|----|------------------|-----------------|
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 11 | (301,854) | (42,802) |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული | | (301,854) | (42,802) |

ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობაში

| | | | |
|--|----------|-----------------|------------------|
| მიღებული სესხების ზრდა | 14 | 373,433 | 59,564 |
| გადახდილი დივიდენდი | 12 | (255,068) | (195,786) |
| საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული ფული | | 118,365 | (136,222) |
| ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა | | (24,532) | 19,657 |
| ფულის და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა | | | |
| ნაშთი წლის დასაწყისში | | 46,980 | 27,323 |
| (შემცირება)/ზრდა | | (24,532) | 19,657 |
| ნაშთი წლის ბოლოს | 9 | 22,448 | 46,980 |